სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/122

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2022 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯილდოს -

„ოქროს მედლის“ შემოღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შემოღებული იქნეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯილდო „ოქროს მედალი“.

2. დამტკიცდეს „ოქროს მედლის“ აღწერილობა და ნიმუში და მოწმობის ფორმა (დანართი 1).

3. დამტკიცდეს „ოქროს მედლის“ მინიჭების წესი და პირობები (დანართი 2).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**